

შპს “ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2022 წლის 31 დეკემბერს



ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

საბალანსო უწყისი

	შენიშვნა	2022 წ.	2021 წ.
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	449,760	96,844
სავაჭრო მოთხოვნები	6	2,044,753	1,633,828
გადახდილი ავანსები		380,465	1,043,511
მარაგები			
მარაგები	5	4,557,579	3,429,942
სხვა მიმდინარე აქტივები		158,276	59,651
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	163,380	163,911
ძირითადი საშუალებები	4	3,976,311	2,124,806
სულ აქტივები		11,730,523	8,552,493
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	11	667,763	1,271,012
საგადასახადო ვალდებულებები		-	6,698
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	7,343,429	4,543,384
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		8,123	19,917
მიღებული ავანსები		28,486	23,860
სხვა ვალდებულებები		55,059	48,445
სულ ვალდებულებები		8,102,860	5,913,316
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		94,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		3,533,662	2,638,178
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		3,627,662	2,639,178
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11,730,523	8,552,494

შპს "ენერჯი"

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

ნ. ქავთარაძე

თ. ბლიაძე

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება			
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)			
	შენიშვნა	2022 წ.	2021 წ.
ნეტო ამონაგები	12	16,389,675	13,574,619
საქონლის გაყიდვიდან		15,914,981	13,195,600
მომსახურების გაწევიდან		474,694	379,019
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		13,595,754	11,392,776
საწყისი მარაგები		3,429,942	3,369,761
მარაგების შესყიდვა		14,723,391	11,452,957
საბოლოო მარაგები		4,557,579	3,429,942
საერთო მოგება		2,793,921	2,181,843
სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(791,668)	(575,882)
ცვეთა და ამორტიზაცია		(73,635)	(66,559)
საპროცენტო შემოსავალი:		277	0
საპროცენტო ხარჯი :		(781,978)	(366,276)
იჯარის ხარჯი		(233,339)	(238,930)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	13	(471,355)	(331,516)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,351,697)	(1,579,163)
საოპერაციო მოგება		442,223	602,680
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		476,637	48,672
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(15,983)	(20,066)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		902,878	631,285
მოგების გადასახადი		(8,264)	(8,128)
მოგება/(ზარალი)		894,614	623,157
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		894,614	623,157
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2,639,178	1,972,551
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		870	623,157
კაპიტალის სხვა ცვლილებები		93,000	43,469
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3,627,662	2,639,177

შპს “ენერჯი“

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

ნ. ქავთარაძე

თ. ბლიაძე

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2022 წ.	2021 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,571,813)	(576,060)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(863,020)	(1,276,716)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	2,546,951	(484,125)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	112,118	(2,336,901)
სავალუტო კურსის ეფექტი	240,798	(19,696)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	96,844	2,453,441
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	449,760	96,844

შპს “ენერჯი“

დირექტორი:
მთ. ბუღალტერი:

ნ. ქავთარაძე
თ. ბლიაძე

1. შპს „ენერჯი“

შპს „ენერჯი“ („კომპანია“) დაარსდა 2014 წლის 19 მარტს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი იყო ფიზიკური პირი ნატალია ქავთარაძე (პ.ნ 16001008808).

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ელექტრონული საქონლის რეალიზაცია როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ (კომპანია ახორციელებს ასევე ექსპორტს). ასევე კომპანია ახორციელებს კომერციული ფართების მშენებლობას ბელიაშვილის ქ.53-ში შემდგომში ეკონომიკური საქმიანობის მიზნით.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქ., N 35

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის თითოეული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს სუბიექტი ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები. ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

გაცივებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
კომპიუტერული და სხვა ტექნიკა	5 – 10
შენობა-ნაგებობები	5 – 10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 – 10
სატრანსპორტო საშუალებები	5 – 10
სხვა ძირითადი საშუალებები	5 – 10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს 2022 წელში საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად დარიცხულ და გადახდილ მოგების გადასახადს.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს კომპანიის სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე დეპონირებულ ფულად სახსრებს. რომელზე წვდომაც კომპანიას შეუზღუდავად გააჩნია და რომელიც შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერ დროს.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემდგომ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას.

სესხები. სესხები აღირიცხება რეალური ღირებულებით, კერძოდ უცხოურ ვალუტაში აღირიცხული სესხები გაანგარიშებულია ეროვნულ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

**31 დეკემბერი
2022**

ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020
ლარი/1 ევრო	2.8844

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

საქონლის რეალიზაცია

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული და ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოძინება.
- შესაძლებელია ტრანზაქციასან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის პერიოდში.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

მოქმედი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნომოსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

4. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	დაუმთავრებელი მშენებლობა	ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერული და სხვა ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ							
ღირებულება 1 იანვარი 2022	1,882,474	5,932	6,422	41,364	113,004	215,203	76,629	2,341,027							
შესყიდვა	1,922,476			1,961	172			1,924,608							
რეალიზაცია								-							
ღირებულება 31 დეკემბერი 2022	3,804,949	5,932	6,422	43,325	113,175	215,203	76,629	4,265,636							
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2022	-	-	3,881	-	2,524	-	80,099	-	58,370	-	44,736	-	216,221		
ცვეთის ხარჯი		-	1,186	-	2,241	-	4,478	-	12,411	-	41,133	-	11,654	-	73,104
რეალიზაცია															
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	-	-	5,067	-	4,766	-	31,088	-	92,510	-	99,503	-	56,390	-	289,325
წმინდა საბალანსო ღირებულება															
1 იანვარი 2022	1,882,474	2,052	3,898	14,754	32,904	156,832	31,893	2,124,806							
31 დეკემბერი 2022	3,804,949	865	1,656	12,237	20,665	115,699	20,239	3,976,311							

5. მარაგები

2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
გასაყიდი საქონელი	4,556,022	3,428,999
საწვავი	1,557	943
სულ მარაგები	4,557,579	3,429,942

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	2,044,753	1,633,828
სულ სავაჭრო მოთხოვნები	2,044,753	1,633,828

7. სხვა გრძელვადიანი აქტივები

2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სხვა გრძელვადიანი აქტივების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
საიტები	162,402	162,402
არამატერიალური აქტივები	978	1,509
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	163,380	163,911

8. ფული და ფულის ექვივალენტები

2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ფული სალაროში	119,974	42,448
ფული ბანკში	329,785	54,396
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	449,760	96,844

9. საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნებადართული და გადახდილი კაპიტალი შეადგენდა 94000 ლარს, ხოლო 1 იანვრის მდგომარეობით 1000 ლარს.

10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	ვალუტა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სს პროკრედიტ ბანკი	ევრო	17,211	24,321
სს პროკრედიტ ბანკი	ლარი	89,668	330,000
სს პროკრედიტ ბანკი	ლარი	400,000	400,000
სს პროკრედიტ ბანკი	ლარი	160,000	160,000
სს პროკრედიტ ბანკი	ლარი	-	346,931
სს პროკრედიტ ბანკი	ლარი	87,978	33,750
სს პროკრედიტ ბანკი	აშშ დოლარი	755,311	257,832
სს ტერა ბანკი	ლარი	3,245,112	1,444,531
ფ.პ ვლადიმერ მკრტიჩიან	ლარი	500,000	500,000
ფ.პ გიორგი ოსეფაიშვილი	ლარი	600,000	600,000
ნატალია ქავთარაძე	აშშ დოლარი	-	78,989
ნატალია ქავთარაძე	აშშ დოლარი	253,988	
ნატალია ქავთარაძე	ლარი	160,000	
ფ.პ გიორგი ოსეფაიშვილი	ლარი	231,137	367,030
ფ.პ ელენონრა ნაგაპეტია	აშშ დოლარი	540,400	
ფ.პ გიორგი ოსეფაიშვილი	აშშ დოლარი	302,624	
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		7,343,429	4,543,384

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	667,763	1,271,012
სულ სავაჭრო ვალდებულებები	667,763	1,271,012

12. შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან

შემოსავალი შედგება საქონლის გაყიდვიდან და ამ გაყიდვის თანმხლები მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლებისაგან:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შემოსავალი მომსახურებიდან 18 %	474,694	379,019
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან 18 %	7,489,297	8,686,926
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან 0 %	8,425,684	4,508,674
სულ შემოსავალი	16,389,675	13,574,620

13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
პირდაპირი ხელფასი		
რეკლამის ხარჯები	82,678	116,471
ტრანსპორტირების, მონტაჟისა და შენახვის ხარჯები	106,337	41,207
სამეურნეო ხარჯი	3,283	3,590
დაცვის ხარჯი	2,881	3,398
სოციალური დანარიცხები	17,439	12,238
საკანცელარიო ხარჯები	1,373	690
საოფისე ინვენტარის ხარჯები	664	688
კომუნიკაციის ხარჯები	23,892	20,253
დაზღვევის ხარჯები	9,379	10,720
ა/მ შეკეთებისა და რემონტის ხარჯი	10,200	8,222
რემონტის ხარჯები	343	
ტენდერის ხარჯი	663	51
ელექტროენერგია, წყალი და გაზი	20,606	21,021
დასუფთავების ხარჯი	2,013	2,248
კომპიუტერის ხარჯები	424	849
იურიდიული ხარჯი	15,865	13,552
საბუღალტრო მომსახურება	29,617	32,743
საბანკო ხარჯები	26,700	18,224
წარმომადგენლობითი ხარჯები	4,813	1,623
სხვა საერთო ხარჯები	112,185	23,730
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	471,355	331,516

14. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

15. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში) მინუს ფული და ფულის ექვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში პლუს წმინდა ვალი.

31 დეკემბერი 2022 31 დეკემბერი 2021

სულ სესხები	7 343 429	4 543 384
ფული და ფულის ექვივალენტები	-449 760	-96 844
წმინდა სესხები	6 893 669	4 446 540
 სულ კაპიტალი	 3 627 662	 2 639 178
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	190.03 %	168.48 %

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება.

16. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას არ გააჩნია.

17. შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით ზოგად ბიზნეს გარემოს ახალი გამოწვევის COVID19-ის ფონზე, რაც კომპანიის აზრით შეიცავს გარკვეულ და არა უმნიშვნელო რისკს ზრდადი ოპერირებისათვის. ასევე მსოფლიოში არსებული არასტაბილური მდგომარეობა მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე საომარი ვითარებების გამო.

შპს "ენერჯი"

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

საქონელი ENERGE

საბალანსო უწყისი

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

აქტივები	შენიშვნა	2022 წ.	2021 წ.
ფული და ფულის ექვივალენტები	8	449,760	96,844
სავაჭრო მოთხოვნები	6	2,044,753	1,633,828
გადახდილი ავანსები		380,465	1,043,511
მარაგები			
მარაგები			
სხვა მიმდინარე აქტივები	5	4,557,579	3,429,942
სხვა გრძელვადიანი აქტივები		158,276	59,651
ძირითადი საშუალებები	7	163,380	163,911
ხელ აქტივები	4	3,976,311	2,124,806
ვალდებულებები		11,730,523	8,552,493
სავაჭრო ვალდებულებები	11	667,763	1,271,012
საგადასახადო ვალდებულებები			6,698
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	7,343,429	4,543,384
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		8,123	19,917
მიღებული ავანსები		28,486	23,860
სხვა ვალდებულებები		55,059	48,445
ხელ ვალდებულებები		8,102,860	5,913,316
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		94,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		3,533,662	2,638,178
სხვა რეზერვები			
ხელ საკუთარი კაპიტალი		3,627,662	2,639,178
ხელ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11,730,523	8,552,494

შპს "ენერჯი"
დირექტორი:
მი. ბუღალტერი:

ნ. ქავთარაძე
თ. ბლიაძე

საქონელი ENERGE

შპს ენერჯი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შტატები (გაგრძელება)
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ენერჯი ENERGE

სრული შემოსავლის ანგარიშგება			
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)			
	შენიშვნა	2022 წ.	2021 წ.
ნეტო ამონაგები			
ბაქონლის გაყიდვიდან	12	16,389,675	13,574,619
მომსახურების გაწევიდან		15,914,981	13,195,600
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		474,694	379,019
საწყისი მარაგები		13,595,754	11,392,776
მარაგების შესყიდვა		3,429,942	3,369,761
საბოლოო მარაგები		14,723,391	11,452,957
საერთო მოგება		4,557,579	3,429,942
სხვა შემოსავალი		2,793,921	2,181,843
დასაქმებული ანაზღაურება		(791,668)	(575,882)
ცვეთა და ამორტიზაცია		(73,635)	(66,559)
ხაზოცენტო შემოსავალი		277	0
ხაზოცენტო ხარჯი:		(781,978)	(366,276)
იჯარის ხარჯი		(233,339)	(238,930)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(471,355)	(331,516)
სულ საოპერაციო ხარჯები	13	(2,351,697)	(1,579,163)
საოპერაციო მოგება		442,223	602,680
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		476,637	48,672
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(15,983)	(20,066)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		902,878	631,285
მოგების გადასახადი		(8,264)	(8,128)
მოგება/(ზარალი)		894,614	623,157
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		894,614	623,157
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		2,639,178	1,972,551
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		870	623,157
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)		93,000	43,469
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		3,627,662	2,639,177
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს			

შპს "ენერჯი"

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

ნ. ქავთარაძე

თ. ბლიაძე

3

(Handwritten signature)
თქოძე

ენერჯი ENERGE

შპს ენერჯი

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული შეცდომების აღწერა
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელიწადი

საქართველო ENERGE

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2022 წ.	2021 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,571,813)	(576,060)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(863,020)	(1,276,716)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	2,546,951	(484,125)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	112,118	(2,336,901)
სავალუტო კურსის ეფექტი	240,798	(19,696)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	96,844	2,453,441
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	449,760	96,844

შპს "ენერჯი"

დირექტორი:
მთ. ბუღალტერი:

ნ. ქავთარაძე
თ. ბლიაძე

